პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 16 (5046)

1974 წ. 23 იანვარი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ЗИМНЯЯ СПАРТАКИАДА НАРОДОВ СССР-1974

# დოსააფი-74

**1974 წელს საკავშირო თავდაცვითი საზოგადოების სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ 11 მსოფლიო ჩემპიონატში, ევროპის 6 პირველობაში, აგრეთვე სსრ კავშირის თითქმის 40 ჩემპიონატში.**

1974 წელი განსაკუთრებულია საბჭოთა სპორტსმენებისთვის, მათ შორის იმ ჭაბუკებისა და ქალიშვილებისთვის, რომლებიც დოსააფის მრავალრიცხოვან სექციებში მეცადინეობენ: წლეულს დანიშნულია სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადის სტარტი, ხოლო ამ შეჯიბრების პროგრამაში სპორტის 15 სამხედრო-ტექნიკური სახეობაა შეტანილი.

სპარტაკიადის მიზანია მასობრივ-ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი განვითარება, მოსახლეობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდა და სპორტსმენთა ოსტატობის დონის ამაღლება. დოსაафის კლუბებისა და კოლექტივების წინაშე საპასუხისმგებლო ამოცანებია დასახული: აუცილებელია სპორტული ბაზებისა და სპორტულ-ტექნიკური კლუბების მოვლა-მოწესრიგება, თანამედროვე ინვენტარითა და აპარატურით აღჭურვა. ახალგაზრდობის ძალებით უნდა აიგოს ახალი სპორტული ბაზებიც.

ადგილებზე დასვენების დღეებში გამართული შეჯიბრებები მასობრივ დღესასწაულებად უნდა იქცეს.

დოსააფელი სპორტსმენები ახალი წლის პირველივე დღეებში გამოვიდნენ დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავისადმი მიძღვნილი სპარტაკიადის სტარტებზე. მაგალითად, ამ დიდი შეჯიბრების პირველ ეტაპზე სტავროპოლის მხარის გეორგიევსკის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში მოეწყო საკოლმეურნეო ბრიგადების მექანიზატორთა შეჯიბრება მრავალჭიდში.

მრავალჭიდელთა შეჯიბრება გაიმართა საბჭოთა მეურნეობა „ულიანოვსკშიც“. 65 მონაწილემ მშდ კომპლექსის ნორმატივები ჩააბარა.

წინაა კიდევ სამი ეტაპი. სპორტის სამხედრო-გამოყენებითს სახეობაში სასპარტაკიადო ტურნირები მოეწყობა საბჭოთა მეურნეობებში, სკოლებში, ქარხნებში, ქალაქებში, რაიონებში, ოლქებსა და რესპუბლიკებში. გაისად გაიმართება ფინალური შეჯიბრებები. ამასთან, განზრახულია ეს სტარტები 26 ქალაქში მოეწყოს.

1973 წელს დოსააფელმა სპორტსმენებმა ასამდე მსოფლიო რეკორდი დაამყარეს. მათ ბევრჯერ მოიპოვეს გამარჯვება სხვადასხვა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში. მაგალითად, ყინულოვან ბილიკზე მოტორბოლაში მსოფლიო ჩემპიონის სახელი მეექვსედ მოიპოვა უფელმა გ. კადიროვმა. წყალქვეშ ორიენტირებაში გამართულ პირველ მსოფლიო ჩემპიონატში ყველას აჯობეს ალმაათელმა ნადეჟდა ტურუკალომ და ნოვოსიბირსკელმა ა. სალმინმა. „მელებზე ნადირობაში“ ევროპის აბსოლუტური ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა ხარკოველმა ი. ვოდიახმა.

სოციალისტური ქვეყნების თავდაცვითი ორგანიზაციების ტრადიციული კომპლექსური შეჯიბრება (ასპარეზობის დევიზი ასეთია — „მეგობრობისა და ძმობისთვის“) 12-ჯერ ჩატარდა და 11-ჯერ პირველი გუნდური ადგილები საბჭოთა სპორტსმენებმა დაიკავეს.

შარშან დოსააფელმა სპორტსმენებმა 30-ზე მეტ საკავშირო ჩემპიონატში მიიღეს მონაწილეობა (საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობდნენ რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლები), ხოლო წლეულს თავდაცვითი საზოგადოების სპორტსმენები უკვე 40 საკავშირო ასპარეზობაში აიღებენ სტარტს.

წლეულს პირველი მედლები 16—26 იანვარს გათამაშდება კუიბიშევში, ტამბოვსა და მოსკოვში — მსუბუქი ავტომანქანებით საიპოდრომო რბოლაში. 4 თებერვალს გამოვლინდება ქვეყნის ჩემპიონი ყინულოვან ბილიკზე კარტინგებით (კუიბიშევი) და 500 კბ სმ-ის ძრავიანი მოტოციკლებით (ნოვოსიბირსკი) რბოლაში.

ტრადიციულად, დოსააფის სპორტსმენთა განსაკუთრებით ბევრი საკავშირო შეჯიბრება ივლისში მოეწყობა: ყძლიერესი ავტომრბოლელები ერთმანეთს შეეჯიბრებიან საგზატკეცილო წრიულ ტრასაზე ლენინგრადში, ავტომოდელისტები იასპარეზებენ თბილისში, „სახმელეთო მრავალჭიდელები“ — სტავროპოლში, წყალქვეშა სპორტის ოსტატები — დონეცკში, სპიდვეისტები — უფაში, პლანერისტები — კაუნასსა და ორიოლში, რადისტები — ფრუნზეში (რადიოგრამების მიღება და გადაცემა), საზღვაო მრავალჭიდელები — კაუნასსა და ულიანოვსკში.

მედლების ბოლო კომპლექტს დოსააფელები სექტემბრის დამლევს გაითამაშებენ თელავში, სადაც მოეწყობა სსრ კავშირის XX ჩემპიონატი საპარაშუტო სპორტში.

(საკდესი).

# მოსკოვი იწვევს ოლიმპიადას

საბჭოთა სპორტული, საზოგადოებრივი და სახელმწიფო ორგანიზაციები თავს არ დაზოგავენ, თუ XXII საზაფხულო ოლიმპიადის მასპინძლობა მოსკოვს დაევალება. ჩატარდეს თამაშები უმაღლეს დონეზე, ოლიმპიური იდეებისა და პრინციპების სულისკვეთებით — ასეთი იყო ლეიტმოტივი 1980 წლის საზაფხულო ოლიმპიური თამაშების მასპინძლად მოსკოვის კანდიდატურის წამოწყების მოსამზადებელი კომიტეტის პირველი სხდომისა, რომელიც 22 იანვარს ჩატარდა. სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწენი, სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლები.

— ჩვენი კომიტეტის ამოცანა, — განაცხადა ამ კომიტეტის ხელმძღვანელმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ს. პავლოვმა, — პირველ ყოვლისა ისაა, რომ ერთგვარად გავაერთიანოთ საზოგადოებრივი და სახელმწიფო ორგანიზაციების აზრი და მონდომება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიის წინ, რომელმაც ოქტომბერში 1980 წლის ოლიმპიადის ორგანიზატორი ქალაქი უნდა დაასახელოს.

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სავსებით დაუჭირა მხარი ქალაქ მოსკოვის ხელისუფალთა და სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის წინადადებას, რომ ოლიმპიური თამაშები საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქში ჩატარდეს.

კომიტეტის სხდომაზე აღინიშნა, რომ საბჭოთა სპორტულ ორგანიზაციებს დიდი გამოცდილება აქვთ მასობრივი კომპლექსური შეჯიბრებების, მაგალითად, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადების ჩატარებისა, რომლის ფინალური შეჯიბრებებიც მასშტაბით ოლიმპიურ თამაშებს არ ჩამოუვარდება. თუ მოსკოვის კანდიდატურა მიიღეს, ქალაქში კიდევ აიგება სპორტული ბაზები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტები. ხაზგასმით აღინიშნა, რომ მოსკოვში ოლიმპიადის სარბიელზე გამოსვლის საშუალება ექნებათ ოლიმპიური მოძრაობის მონაწილე ყველა ქვეყნის სპორტსმენებს, მუშაობისთვის სათანადო პირობები შეექმნებათ თამაშებზე აკრედიტებულ ჟურნალისტებს, დიდი ყურადღებით იქნებიან გარემოსილი უცხოელი სტუმრები.

სხდომაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგე ი. სკლიაროვი.

კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების სექტორის გამგე ბ. გონჩაროვი.

საქტასი [illegible]

## [illegible] ... 19 45

**სან-პაულუ, 22 იანვარი. სსრ კავშირისა და ბრაზილიის კალათბურთელ ქალთა ეროვნული ნაკრები გუნდების მორიგ ამხანაგურ შეხვედრას დიდძალი მაყურებელი დაესწრო. წარმატება ამჯერადაც ბრაზილიელებს ხვდათ: მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა გაიმარჯვა ანგარიშით 78:72. საბჭოთა კალათბურთელებმა ბრაზილიაში უკვე მესამედ იწვნიეს მარცხი. ამხანაგური მატჩები საბჭოთა და ბრაზილიელ კალათბურთელთა შორის კიდევ სამჯერ ჩატარდება: ორჯერ — რიო-დე-ჟანეიროში, ერთხელ — ქალაქ ბრაზილიაში, მერე კი საბჭოთა გუნდი თავისუფლების კუნძულზე გაემგზავრება.**



# თავკაცები განზე იდგნენ

ბაკურიანში ოთხ დღეს გაგრძელდა ზამთრის III სპარტაკიადა, რომელშიც 10 გუნდი მონაწილეობდა. მონაწილენი სიძლიერის მიხედვით სამ ჯგუფად დაიყვნენ. მოსალოდნელი იყო, რომ დედაქალაქის ფიზკულტურის კოლექტივების საბჭოები საქართველოს ზამთრის სპარტაკიადისთვის მზადებას გულისყურით მოეკიდებოდნენ და ბაკურიანში თავიანთ გუნდებს გამოგზავნიდნენ, მით უმეტეს, რომ სათხილამურო სპორტში გამართული შეჯიბრებები სპორტსმენებს მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაშიც შეუწყობდა ხელს.



მრბოლელ ქალთა შეჯიბრებაში კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება გამოავლინა მხოლოდ უნივერსიტეტის სტუდენტმა, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ნ. ბაღაშვილმა, რომელმაც 5 და 10 კილომეტრზე რბოლა დიდი უპირატესობით მოიგო. 5 კილომეტრზე მან 20.45,0 აჩვენა და ფ. ოსიპოვას („განთიადი“) 5,4 წამით აჯობა. 10-კილომეტრიან დისტანციაზე ბაღაშვილის შედეგი 41.40,0 იყო. II ადგილზე ამ სახეობაშიც „განთიადის“ ნაკრების წევრი გავიდა, ოღონდ ამჯერად ეს იყო ზ. ლვოვა — 45.15,0. ბაღაშვილი საქართველოს სპარტაკიადაში ჩემპიონობის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი იქნება.

ვაჟები 10 და 15 კილომეტრზე რბოლაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ორივე დისტანციაზე, ისევე როგორც საქართველოში სათხილამურო სპორტის სეზონის გახსნის პრიზზე გამართულ შეჯიბრებაში, იმარჯვა ფიზკულტურის ინსტიტუტის III კურსის სტუდენტმა, ბაკურიანელმა ა. მოროზოვმა — 34.12,0 და 51.49,0. პირველ დისტანციაზე მას ლ. სოლოიანი (არმიის სპორტკლუბი) 2 წამით ჩამორჩა. მეორე დისტანციაზე II ადგილი მოროზოვის თანაგუნდელ გ. მაკიევს ხვდა — 53.12,0.

ორი გამარჯვება დაისაკუთრა სპორტის ოსტატმა ი. ნასყიდაშვილმაც (ფიზკულტურის ინსტიტუტი). სწრაფდაშვებაში მისი შედეგია 1.19,8 (აქ მომდევნო ადგილებიც ნასყიდაშვილის თანაგუნდელებს — ა. სტეპანიანსა და დ. თვაურს ხვდათ. პირველმა 1.20,0 აჩვენა, მეორემ — 1.21,8), გიგანტურ სლალომში — 1.21,0 (შემდეგ მოდიან ისევ თვაური და სტეპანიანი, ოღონდ ამჯერად მათ ადგილები გაცვალეს).

სპეციალურ სლალომშიც სამივე საპრიზო ადგილი ფიზკულტურის ინსტიტუტის ნაკრების წევრებმა დაისაკუთრეს: თვაურმა 1.54,6 აჩვენა, გ. ფანჯაკიძე მას 1,6 წამით ჩამორჩა, რ. აკოფოვის შედეგია 1.55,2.

სამთომოთხილამურე ქალთა შეჯიბრების სტარტზე მხოლოდ 2 სპორტსმენი გამოვიდა. სპეციალურ სლალომში ასპარეზობის დროს თ. კოზანაშვილი (ფიზკულტურის ინსტიტუტი) დაეცა და დისტანცია ვერ დაამთავრა. ამით ისარგებლა ფ. ოსიპოვამ („განთიადი“), რომელმაც მეტად დაბალი შედეგით (4.21,5) გაიმარჯვა. კოზანაშვილმა რევანში გიგანტურ სლალომში აიღო — 1.43,5.

მაინცდამაინც ვერც 70-მეტრიანი ტრამპლინიდან მხტომელებმა გამოიჩინეს თავი. დამაკმაყოფილებელი შედეგი მხოლოდ ა. გავას (ასკ) ჰქონდა — 211,5 ქულა. ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის წევრები ბ. უნანოვი (184 ქულა) და ვ. მიქაბერიძე (183) გამარჯვებულს საგრძნობლად ჩამორჩნენ.

ორჭიდში თბილისის ჩემპიონი გახდა ბ. ქუმარიტაშვილი (ასკ). კ. ლალიევი („ბურევესტნიკი“) II ადგილს დასჯერდა.

ბოლო დღეს მოეწყო კომბინირებული ესტაფეტა. ყოველ გუნდში 2-2 ქალი (შეჯიბრება ჩატარდა 5 კმ-ზე) და ვაჟი (10-10 კმ) შედიოდა. გაიმარჯვა თბილისის არმიის სპორტკლუბის ნაკრებმა — 2:05.03. II ადგილი ხვდა უნივერსიტეტის კვარტეტს — 2:21.05, III — ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივს — 2:33.12.

პირველ ჯგუფში საერთო გუნდური გამარჯვება ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა მოიპოვეს — 181 ქულა. II ადგილი დაიკავა უნივერსიტეტის ნაკრებმა — 125, III — პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა — 80.

მეორე ჯგუფში იმარჯვა სპორტკლუბმა „ფეიქარმა“, მესამე ჯგუფში — ტრიკოტაჟის № 3 ფაბრიკამ.

დედაქალაქის რაიონების გუნდების შეჯიბრება მოიგო ორჯონიკიძის რაიონის ნაკრებმა, რომელმაც 484 ქულა დააგროვა. II ადგილი ერგო საქარხნო რაიონის კოლექტივს — 155, III — ლენინის რაიონის გუნდს — 104.

სპარტაკიადას ბევრი ნაკლი ჰქონდა. როგორც შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა მ. გეგელიამ გვითხრა, ბევრი გუნდის წარმომადგენლები ამ შეჯიბრებას არასერიოზულად მოეკიდნენ — მსაჯთა კოლეგიის სხდომაზე არ ცხადდებოდნენ. თბილისის თერთმეტი უმაღლესი სასწავლებლიდან სპარტაკიადაში მხოლოდ სამი მონაწილეობდა, თორმეტი სპორტკლუბიდან — ოთხი. ამ ასპარეზობით არც თბილისის რაიონების ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტების თავმჯდომარეები დაინტერესებულან: ბაკურიანში მარტო კალინინის რაიონის ფიზკულტურელთა თავკაცი ჩამოვიდა და მანაც სპარტაკიადის დამთავრებას არ დაუცადა. თავი დიდად არც სპორტსაზოგადოებათა საბჭოებს (ეს მხოლოდ „სპარტაკს“ არ ეხება) შეუწუხებიათ. არც მსაჯთა კოლეგია იყო სრულად დაკომპლექტებული.

ლ. ხეცურიანი,
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბაკურიანი.

• • •

**სურათებზე:** ი. ნასყიდაშვილი გიგანტური სლალომის დისტანციაზე; ნ. ბაღაშვილი 10 კილომეტრზე რბოლის დროს.

ო. გელაშვილის ფოტოები.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფიზკულტურასა და სპორტში ახალი წარმატებებით ვუპასუხოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი საქართველოს ფიზკულტურულ ორგანიზაციებს გადაუდებელ ამოცანებს უსახავს და ავალებს, რომ მთელი თავიანთი ძალა, ცოდნა და ენერგია მოახმარონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების — „საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ამოცანები პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვასთან დაკავშირებით“ — ცხოვრებაში გატარებას.

რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა შარშანდელი წელი მნიშვნელოვანი წარმატებებით აღნიშნეს — მოამზადეს 16 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი და 194 სსრ კავშირის სპორტის ოსტატი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 15-სა და 150-სა, ამასთან შესაბამისად მომზადებულია ათასობით ახალი თანრიგოსანი, მშდ კომპლექსის ნიშნოსანი და საზოგადოებრივი ფიზკულტურული მუშაკი.

განსაკუთრებით კარგი შედეგებით გამოირჩევიან „ბურევესტნიკის“, „დინამოს“, „კოლმეურნისა“ და არმიის სპორტული კლუბის საბჭოები, აჭარის ასსრ, თბილისის, ქუთაისის, გორის, გეგეჭკორის, გურჯაანის, დუშეთის, ზესტაფონის, ზუგდიდის, კასპის, მაიაკოვსკის, მცხეთის, ონის, საგარეჯოს და ცხაკაიას რაიონების ფიზკულტურული ორგანიზაციები, რომლებმაც გეგმების შესრულებასთან ერთად მოამზადეს და რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს მისცეს საერთაშორისო კლასისა და სსრ კავშირის სპორტის ოსტატები. მაღალკვალიფიციურ სპორტსმენთა მომზადების გეგმები შესრულებულია კალათბურთში, ჭიდაობის ყველა სახეობაში, ველოსპორტში, ტანვარჯიშში, საბაიდარო ნიჩბოსნობაში, ცხენოსნობაში, წყალში ხტომაში, ხელბურთში, თანამედროვე ხუთჭიდში, ჩოგბურთში, ფარიკაობაში, მშვილდოსნობაში, აკრობატიკაში, ჭადრაკსა და შაშში.

## ახალი წელი, ახალი ამოცანები

ყველაზე სასიამოვნო ისაა, რომ შარშან ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა პირველად მოამზადეს სპორტის ოსტატები ბატუტზე ხტომასა (6) და ფიგურულ ციგურაობაში (3). ყოველივე ამან განაპირობა ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა და ნაკრები გუნდების წარმატებები როგორც საერთაშორისო, ისე საკავშირო სარბიელზე: საქართველოს კლასიკური სტილის მოჭიდავეებმა პირველად მოიპოვეს საბჭოთა კავშირის თასი, ასევე I ადგილზე გავიდნენ ძიუდოისტები, ხოლო თავისუფალი ჭიდაობის ოსტატებმა II საპრიზო ადგილი დაიკავეს. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ჩვენი შესანიშნავი სპორტსმენების: ლ. თედიაშვილის, ქ. ლოსაბერიძის, ტ. ელენტის, დ. შანიძის, ა. მეტრეველის, თ. კაკულიას, გ. გიორგაძის, ნ. გაფრინდაშვილის, ნ. ალექსანდრიას, მ. ჩიბურდანიძის სპორტული მიღწევები.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს შარშან ყველაფერი რიგზე იყო და მუშაობაში არავითარი ნაკლი არ გვქონდა.

მარტო ის ფაქტი, რომ „განთიადისა“ და „ლოკომოტივის“ საბჭოებმა, აგრეთვე, აფხაზეთის, ფოთისა და თელავის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ვერ შეასრულეს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატთა, ხოლო ტყიბულის, ახალქალაქის, ბორჯომის, გარდაბნის, გორის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ლენტეხის, მახარაძის, სამტრედიისა და თელავის რაიონებმა სსრ კავშირის სპორტის ოსტატთა მომზადების გეგმები, თავისთავად მეტყველებს ნაკლოვანებებზე.

კრივში, წყალბურთში, აკადემიურ ნიჩბოსნობაში, სათხილამურო სპორტში, მძლეოსნობაში, ცურვაში, ტყვიის სროლაში, სასტენდო სროლაში, მაგიდის ჩოგბურთსა და ძალოსნობაში წლების განმავლობაში არ სრულდება მაღალკვალიფიციურ სპორტსმენთა მომზადების გეგმები. ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამაა გასაკეთებელი ფიზკულტურული კადრების სწორად შერჩევის, აღზრდისა და განაწილების, მათი კვალიფიკაციისა და იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლებისთვის.

ამჟამად საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციების წინაშე მეტად საპასუხისმგებლო ამოცანები დგას. პირველ ყოვლისა ესაა მონაწილეობა სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადაში, რომელიც მარტში ბაკურიანში ტარდება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და მათ მიერ დამტკიცებული სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტი ზრუნავენ, რომ დროულად და ხარისხიანად დამთავრდეს ყველა სამუშაო, მაღალ ორგანიზებულ და სპორტულ დონეზე ჩატარდეს ზამთრის საკავშირო სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის წარმომადგენლები.

ყველაზე დიდ ღონისძიებად გვესახება საბჭოთა კავშირის ხალხთა ზაფხულის VI სპარტაკიადა, რომლის პირველი და მეორე ეტაპები სტარტს წლეულს, გაზაფხულიდან აიღებს. ამ პერიოდში მოეწყობა სპარტაკიადები ქარხნებსა და ფაბრიკებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, სკოლებში. საქართველოს სპარტაკიადის დაწყებამდე გაიმართება სარაიონო, საქალაქო და საოლქო სპარტაკიადები. ამ შეჯიბრებათა ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლენა და დაკომპლექტება რესპუბლიკის ნაკრები გუნდებისა, რომლებმაც 1975 წლის ივლის-აგვისტოში საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის ფინალურ ასპარეზობაში საქართველოს სპორტული ღირსება უნდა დაიცვან. ამოცანა ის არის, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებში, რომლებიც 1976 წელს XXI ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზებენ, საქართველოს რაც შეიძლება მეტი წარმომადგენელი მოხვდეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ენერგიული, პრინციპული და პრაქტიკული ღონისძიებების შედეგად ამ ბოლო ხანს ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულ მოძრაობაში, ისევე როგორც სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, საგრძნობი ძვრები მოხდა, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაზე. ამჟამად ჩვენი მიზანია, არ შევანელოთ აღებული ტემპი და რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობა დღევანდელი მოთხოვნათა დონეზე წარვმართოთ.

**ნ. სომხიშვილი,**
საქართველოს სპორტკომიტეტის საორგანიზაციო მუშაობის, მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის, კადრებისა და სპორტის პროპაგანდის განყოფილების უფროსი.

# მიმართვა ბევრს გვავალებს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი ბევრს ავალებს ფიზკულტურულ ორგანიზაციებს, რომელთაც გულმოდგინედ უნდა იმუშაონ მშრომელი ახალგაზრდობის, საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანების ფიზიკური წრთობისთვის. განსაკუთრებით დიდი როლი ეკისრებათ ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულ კომიტეტებს, რომლებმაც საწარმოების, დაწესებულებების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, სასწავლებლების ფიზკულტურულ კოლექტივებს ამ საკითხის წარმატებით გადაწყვეტაში ხელმძღვანელობა და დახმარება უნდა გაუწიონ.

ამასთან დაკავშირებით ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა და რამდენიმე შეკითხვით მიმართა ახალქალაქის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს ა. ოვანოდლიანს.

## „ლელო“ ინტერვიუ

● **როგორ გესახებათ პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში წამოჭრილი ამოცანების განხორციელებისთვის ბრძოლა?**

— პირველ ყოვლისა საჭიროა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება ყველა უბანზე. ჩვენ კარგად ვიცით, რომ მრეწველობისა თუ სოფლის მეურნეობის მუშაკთა შრომისნაყოფიერების ზრდაში ფიზკულტურა და სპორტი დიდ როლს თამაშობს და ამიტომაც ვცდილობთ რაიონში სპორტული ბაზების ქსელის გაფართოებას, ჯანმრთელობის ჯგუფებში, სპორტულ სექციებში ხალხის მასობრივად ჩაბმას. ახალქალაქის რაიონის 114 ფიზკულტურულ კოლექტივში 21 ათასზე მეტი კაცია გაერთიანებული.

მშდ კომპლექსის შემოღება მოსახლეობის ჯანმრთელობის შემდეგი განმტკიცებისთვის ზრუნვით იყო გამოწვეული. ამ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისთვის მზადებაში შარშან 12 ათასამდე კაცის ჩაბმა შევძელით. გეგმით, 4000 მშდ კომპლექსის ნიშნოსანი უნდა მოგვემზადებინა, სინამდვილეში კი ნორმატივები 4653 კაცმა ჩააბარა, მათგან 334-მა — ოქროს სამკერდე ნიშანზე.

● **შარშანწინ, როცა მშდ ახალი კომპლექსის დანერგვა და ნორმატივების ჩაბარება დაიწყო, თქვენი რაიონი სიყალბეში ამხილეს. ახლა რა მდგომარეობაა?**

— მაშინ შეცდომა ფიზკულტურულმა კი არა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა დაუშვეს — საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს უზუსტო ცნობები მიაწოდეს. დამნაშავენი სათანადოდ დაისაჯნენ.

● **როგორ მიაღწიეთ ამ საქმეში გეგმების ასე გადაჭარბებას?**

— მონდომება წარმატების უპირველესი საწინდარია. ხშირად სხვა რაიონებში საცურაო აუზების უქონლობას უჩივიან. ამ მხრივ ჩვენ საქმე ცუდად როდი გვაქვს: მარტო ახალქალაქში სამი აუზია. მაგრამ 5 ათასამდე ფიზკულტურელს ერთ სეზონში ცურვას, რა თქმა უნდა, ვერ ასწავლი, მით უმეტეს, ნორმატივებს ვერ ჩააბარებინებ. ამ ამოცანის გადასაწყვეტად ჩვენ რაიონის მდინარეები გამოვიყენეთ, 70 საგუბარი მოვაწყვეთ და ზაფხულში მუშაობაც გაიმალა.

● **მასობრივი მუშაობის აღმავლობისთვის ბრძოლამ მაღალთანრიგოსანთა მომზადებაში ხომ არ შეგიშალათ ხელი?**

— მასობრიობა მარტო გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესების კი არა, სპორტის წინსვლის საწინდარიცაა. თანრიგოსანთა მომზადებაში არ ჩამოვრჩენილვართ. პირიქით — მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისთვის მზადებამ და შეჯიბრებებმა თანრიგოსანთა რიგების ზრდასაც ხელი შეუწყო. დიდ ყურადღებას ვუთმობთ ფიზკულტურის პროპაგანდასაც: შექმენით მეთოდური ბიბლიოთეკა, რომლითაც რაიონის ყველა ფიზკულტურული მუშაკი სარგებლობს; შევადგინეთ რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ალბომი, რომელშიც 3500 ფოტოსურათია მოთავსებული, ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაში მოწინავე კოლექტივის დასაჯილდოებლად რაიალმასკომმა დააწესა გარდამავალი დროშა, ხოლო ფიზკულტურის კომიტეტმა — თასი და ვიმპელი. ეს ჯილდოები ზედიზედ მეორედ მოიპოვა ახალქალაქის სპორტსკოლა-ინტერნატის კოლექტივმა. ყოველი წლის დამლევს ვადგენთ რაიონის 5 საუკეთესო სპორტსმენის ვინაობას და მათ კომიტეტის პრიზებით გაჯილდოებთ. ყველა ღონისძიების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

● **როგორ წარმართავთ ჯგუფების, სექციების, კოლექტივების მუშაობას?**

— უმეტესად საზოგადოებრივ საწყისებზე. რაიონში ყველაზე ხალხმრავალი კოლექტივები საბჭოთა მეურნეობებს აქვთ, ფიზკულტურის მეთოდისტები კი მხოლოდ ვაჩიანისა და კარზახის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებს ჰყავთ. რაიონში მეცხოველეობის რვა საბჭოთა მეურნეობაა და თითოეულში მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 2000-ს აღემატება. კარტიკამის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში 574 ფიზკულტურელია, მეთოდისტის შტატის შექმნაზე კი არავინ ფიქრობს. ასეთივე მდგომარეობაა სულდინის, ოკამის, იხტილანისა და სხვა მეურნეობებში. იმის გამო, რომ ფიზკულტურის მეთოდისტები არ ჰყავთ, ამ მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა სამი მეოთხედი სპორტსაზოგადოების წევრი არ არის.

● **მოწინავე ფიზკულტურულ ორგანიზაციებს თუ დაგვისახელებთ?**

— რატომ არა! ვაჩიანის მეურნეობის, კორხის, ბურნაშეთის, მაჯადიის კოლმეურნეობების ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოები შესანიშნავად მუშაობენ, ხშირად მართავენ შიდასაკოლექტივო შეჯიბრებებს, ამხანაგურ შეხვედრებს, აქტიურად მონაწილეობენ რაიონულ ღონისძიებებში. რაკი სიტყვამ მოიტანა, აქვე აღვნიშნავ, რომ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეს სათანადო ყურადღებით არ ეკიდებიან რაიონული საავადმყოფოს, ავტოსატრანსპორტო საწარმოს, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს კოლექტივები, ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელები: იოსებ ბეტაშვილი, კარლენ რაისიანი და მანუჭარ ოვანესიანი.

ამ მხრივ არც პროფკავშირული ორგანიზაციები იწუხებენ თავს. ადგილობრივი კომიტეტები ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობისთვის არაფერს იმეტებენ, თუმცა, წესით, შემოსავლის განსაზღვრული ნაწილი სწორედ ამ საქმეს უნდა მოახმარონ.

● **როგორ წარმოგიდგენიათ რაიონის მოსახლეობაში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების გზები?**

— მთავარია ბაზების ქსელის გაფართოება, ფიზკულტურის სპეციალისტთა რიგების ზრდა, საწარმო-დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სასწავლებლის ხელმძღვანელთა, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და დოსააფის ორგანიზაციების აქტიური მხარდაჭერა. დოსააფის რაიონული კომიტეტის ზრუნვა რომ არა, მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა გეგმების შესრულება გაგვიჭირდებოდა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ დოსააფს რაიონში ერთი კაპიტალური ტირიც არა აქვს. სროლაში ნორმატივებს ხალხი ველზე აბარებდა.

● **როგორ გაქვთ საქმე სასკოლო ორგანიზაციებში?**

— არც ისე სახარბიელოდ: 59 სკოლა უდარბაზოდაა, წლეულს ჩვენს რაიონში ამინდი ძალიან ჭირვეულობს, და ამიტომ 14 ათასამდე მოსწავლე ფიზკულტურაში რეგულარული მეცადინეობის საშუალებას მოკლებულია. სკოლის დირექციები არც ინვენტარის შეძენისთვის იწუხებენ თავს. წლეულს რაიონში შემოზიდული 1500 წყვილი თხილამურიდან სკოლებს არც ერთი არ შეუძენიათ. მოთხილამურეთა რაიონულ პირველობაში 54 სკოლას გუნდი არ გამოუყვანია. შეჯიბრების მონაწილენიც უმეტესად საკუთარი სახსრებით შეძენილი ინვენტარით ასპარეზობდნენ. რაიონში საუცხოო ბუნებრივი პირობებია სათხილამურო სპორტის განვითარებისთვის, მაგრამ ჩვენ ამას სათანადოდ ვერ ვიყენებთ. 1961 წელს „სპარტაკმა“ 40-მეტრიანი ტრამპლინის მშენებლობა დაიწყო, მაგრამ ამ თაოსნობას რაიონში მხარი არ დაუჭირეს, სპორტსაზოგადოებას კი სახსრები არ ეყო და საქმე შუა გზაზე შეჩერდა. ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, რესპუბლიკის წლევანდელ ზამთრის სპარტაკიადაში წარმატების არავითარი იმედი არა გვაქვს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკებს ავალებს მაქსიმალურად გამოიყენონ მეცხრე ხუთწლედის მეოთხე — განმსაზღვრელი წლის ყველა სამუშაო დღე, თავი არ დაზოგონ გეგმა-ვალდებულებათა შესრულებისთვის, ეს ჩვენ, ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკებსაც გვეხება.

# ბავშვებმა შინაარსიანად დაისვენეს

მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების პერიოდში თელავში წლეულს პირველად მოეწყო ბავშვთა გამაჯანსაღებელი ბანაკი. თელავის ტურისტულ ბაზაში (დირექტორი ნ. მთვარელიშვილი) რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსულმა 160-ზე მეტმა მოსწავლემ დაისვენა. დაკომპლექტებული იყო 5 რაზმი. ხშირად ეწყობოდა ლაშქრობები და გასეირნებები, სპორტული შეჯიბრებები, ერთდროული თამაშის სეანსები ჭადრაკსა და შაშში. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მოძრავმა და გასართობმა თამაშებმა მახლობელ ტყეში. ჩატარდა მშდ კომპლექსის დღე. 60-ზე მეტმა ბავშვმა ჩააბარა ნორმატივები სპორტის ცალკეულ სახეობებში. ტურისტულ ლაშქრობებში მონაწილეობდა 120 მოსწავლე.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ თელავში ამ ბანაკის მოწყობით კარგი საქმე გააკეთა.

**ს. ოხანაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პრიზების მფლობელნი — ლიდერთა შორის



ევროპის კალათბურთელთა ტურნირების მონაწილე გუნდები (ამ შემთხვევაში ლაპარაკი გვაქვს ჩემპიონთა თასის გათამაშებაზე) ორ მეოთხედფინალურ ჯგუფად არიან დანაწილებული. ყოველ ჯგუფში გამოდის 4-4 კოლექტივი. თამაშები წრიული სისტემით ტარდება, მაგრამ ვინაიდან ყოველი გუნდი მეტოქესთან ორ შეხვედრას ატარებს (შინ და გარეთ), გამარჯვებული ამ ორი შეხვედრის ჯამით ვლინდება. მაგალითად, იუგოსლავიის ჩემპიონმა „რადნიჩკიმ" შინ დაამარცხა ავსტრიის „ვინერბერგერი", მაგრამ ვენაში წააგო ბრძოლა. ამის მიუხედავად, „რადნიჩკის" ერიცხება 1 ქულა, ვინაიდან ორი შეხვედრის ჯამში უკეთესი მაჩვენებელი აქვს.

როგორ წარიმართა განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩები ჯგუფებში?

ვაჟთა პირველ ჯგუფში „რადნიჩკიმ" 15 ქულით მოუგო „ვინერბერგერს" — 91:76. ვინაიდან პირველი შეხვედრა იუგოსლაველებს წაგებული ჰქონდათ მხოლოდ 11 ქულით, გამარჯვება მათ ჩაეთვალათ. მადრიდის „რეალმა" მეორე მატჩიც მოუგო სოფიის „აკადემიკს" — 102:85. იგი პირველ ჯგუფში სატურნირო ცხრილს ლიდერობს.

მეორე ჯგუფში საფრანგეთის ჩემპიონმა ას „ბერკმა" განმეორებითი შეხვედრაც მოუგო ანტვერპენის „რესინგს" — 88:59. ორი შეხვედრა აქვს მოგებული თელ-ავივის „მაკაბისთან" საპატიო ჯილდოს მფლობელს, ვარესეს „ინისს". ამჯერად მან გაიმარჯვა ანგარიშით 93:76.

გთავაზობთ სატურნირო ცხრილებს:

### I ჯგუფი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „რეალი" (ესპანეთი) | 1 | 1 | 0 | 211—188 | 1 |
| „რადნიჩკი" (იუგოსლავია) | 1 | 1 | 0 | 159—155 | 1 |
| „ვინერბერგერი" (ავსტრია) | 1 | 0 | 1 | 155—159 | 0 |
| „აკადემიკი" (ბულგარეთი) | 1 | 0 | 1 | 168—211 | 0 |

### II ჯგუფი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ას „ბერკი" (საფრანგეთი) | 1 | 1 | 0 | 176—120 | 1 |
| „ინისი" (იტალია) | 1 | 1 | 0 | 176—168 | 1 |
| „მაკაბი" (ისრაელი) | 1 | 0 | 1 | 153—176 | 0 |
| „რესინგი" (ბელგია) | 1 | 0 | 1 | 120—176 | 0 |

ქალთა პირველ ჯგუფში ჯერჯერობით საუკეთესო მაჩვენებელი აქვს საფრანგეთის ჩემპიონს „კლერმონ-ფერანსს". განმეორებითი შეხვედრა ლოძის ლკს-ს მან საკმაოდ დიდი ანგარიშით მოუგო — 80:51. ამ ჯგუფში 1 ქულა აქვს ბულგარეთის „მარიცასაც", რომელმაც შინ დაამარცხა პრაღის „სლავია" — 54:37 (პირველი შეხვედრა ჩეხოსლოვაკიელ კალათბურთელებს ჰქონდათ მოგებული — 79:68).

მეორე ჯგუფის ტურნირს დამაჯერებლად ლიდერობს სსრ კავშირის ჩემპიონი და ჩემპიონთა თასის მრავალგზის მფლობელი რიგის ტტტ. ლატვიელებმა, როგორც უკვე გიუწყებოდით, ორივე შეხვედრა მოუგეს იტალიის „სტანდას". მათ აქვთ გატანილი და მიღებული ბურთების საუცხოო ბალანსი — 161:89. სატურნირო ცხრილში II ადგილზეა რუმინეთის ჩემპიონი „პოლიტექნიკა". ბუქარესტის კალათბურთელებმა პირველი მატჩი 26 ქულით მოუგეს ბუდაპეშტის მტკ-ს. განმეორებით შეხვედრაში უნგრელებმა, მართალია, აიღეს რევანში (69:67), მაგრამ ორქულიანი სხვაობა საბოლოო გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

### I ჯგუფი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „კლერმონ-ფერანი" (საფრანგეთი) | 1 | 1 | 0 | 156—95 | 1 |
| „მარიცა" (ბულგარეთი) | 1 | 1 | 0 | 122—116 | 1 |
| „სლავია" (ჩეხოსლოვაკია) | 1 | 0 | 1 | 116—122 | 0 |
| ლკს (პოლონეთი) | 1 | 0 | 1 | 95—156 | 0 |

### II ჯგუფი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ტტტ (სსრ კავშირი) | 1 | 1 | 0 | 161—89 | 1 |
| „პოლიტექნიკა" (რუმინეთი) | 1 | 1 | 0 | 151—127 | 1 |
| მტკ (უნგრეთი) | 1 | 0 | 1 | 127—151 | 0 |
| „სტანდა" (იტალია) | 1 | 0 | 1 | 89—161 | 0 |

გაიმართა თასების მფლობელთა თასის გათამაშების მეოთხედფინალური ტურნირების რამდენიმე განმეორებითი შეხვედრაც.

ვაჟები: „სტიაუა" (ბუქარესტი) — „სპარტაკ—ზბროიოვკა" (ჩეხოსლოვაკია) 77:64. ქულა რუმინელ კალათბურთელებს დაერიცხათ, ვინაიდან პირველი მატჩი მათ მხოლოდ 11 ქულით ჰქონდათ წაგებული.

ქალები: „ჯეასი" (მილანი) — „სპარტაკუსი" (ბუდაპეშტი) 68:51. საბოლოო ჯამში გამარჯვება მიეკუთვნათ იტალიელ კალათბურთელებს, რომლებმაც პირველი შეხვედრაც მოიგეს. მეორე ჯგუფში, როგორც უკვე გიუწყებოდით, საპატიო ჯილდოს მფლობელმა — ლენინგრადის „სპარტაკმა" ორივე მატჩი მოუგო სარაევოს „ჟელეზნიჩარს" (102:41 და 99:52).

# ოლიმპიელები პრესტიჟს იცავენ

მსოფლიო ჩემპიონატამდე, რომელიც თებერვალში ფალუნში უნდა ჩატარდეს, არც ისე ბევრი დრო რჩება. ამიტომ სპორტული სამყაროს ყურადღება ახლა უმთავრესად სწორედ ამ დიდი ასპარეზობის მონაწილეთა სამზადისისკენაა მიპყრობილი. სამზადისში კი მთელი სამყაროს მოთხილამურეები არიან ჩაბმული.

ოსლოში სწორედ მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების პროგრამით ჩატარდა ტრადიციული XXI საერთაშორისო შეჯიბრება 20 კილომეტრზე რბოლაში. წარშან ამგვარ ასპარეზობაში სსრ კავშირიდან ვ. ვორონკოვი (III ადგილი დაიკავა) და ვ. როჩევი (V) გამოდიოდნენ. ამჯერად ევროპის საუკეთესო სპორტსმენთა გვერდით ძალებს ცდიდნენ ვ. ლუკიანოვი და ა. შმიგუნი. ლუკიანოვმა VI ადგილი მოიპოვა (52.48), შმიგუნი კი ოცდამეათე იყო — 56.07.

ყველას აჯობა ფინელმა ი. მიეტომ — 51.13. პირველ ხუთეულში დანარჩენი ოთხი ადგილი ხვდა ნორვეგიელებს: ე. მარტინსენს (51.44), გ. ბროს (52.07), ნ. ეგენსა (52.14) და ს. მიურმეს (52.46).

მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლები თავს არზოგავენ: შვეციაში სტარტი სტარტს მოსდევს. ჰამერდალში ვაჟები 18 კილომეტრზე რბოლაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ს.-ო. ლუნდბაკმა 58.16 აჩვენა და ი. სვენსონს 59 წამით აჯობა. ქალები ძალას 6 კილომეტრზე ცდიდნენ. ე. პარტაპუოლიმ (21.45) მ. ბუდელდს 21 წამით მოუგო.

იმავე დღეს ბერგშიოში 15 კილომეტრზე რბოლაში ტ. მაგნუსონმა ყველა მეტოქე იოლად დაამარცხა — 44.05. და აი, სულ მალე შვეციის სათხილამურო რბოლის ლიდერები ლუნდბაკი და მაგნუსონი ოსარნის მიდამოებში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ 16-კილომეტრიანი რბოლის სტარტზე. ლუნდბაკმა თხილამურების საცხი კარგად ვერ შეარჩია, რამაც მაგნუსონს საშუალება მისცა მეტოქისთვის წუთზე მეტი მოეგო — 48.49. ოლიმპიური ჩემპიონი ლუნდბაკი IV ადგილზე დარჩა — 50.36. მას მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონმა ლ.-ე. ოსლუნდმაც აჯობა — 50.29 ქალთა შორის 5 კილომეტრზე რბოლაში ბადალი ისევ არ ჰყავდა 19 წლის პარტაპუოლის — 20.25.

ბიატლონში საერთაშორისო შეჯიბრებას ზულის (გდრ) ტრასა მასპინძლობდა (ამ სახეობაში მსოფლიო ჩემპიონატი მინსკში თებერვლის დამლევს ჩატარდება). 4×7,5 კმ-ზე ესტაფეტაში სსრ კავშირის ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ მსოფლიო ჩემპიონი ა. ტიხონოვი, აგრეთვე, მ. ჯაავო, ა. უშაკოვი და ი. კოლმაკოვი, 8 საჯარიმო წუთის მიუხედავად გაიმარჯვა — 2:15.52,8. II ადგილი დაიკავეს რუმინელებმა — 2:16.11,14, III — პოლონელებმა — 2:18.10,5. მანამდე ტიხონოვმა ობერსჰოფში (გდრ) პირადი შეჯიბრება მოიგო — 1:18.16. II ადგილი რუმინელ ვ. ფონტანას ერგო. კოლმაკოვი IV ადგილზე გავიდა — 1:23.10.

ორჭიდელთა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება შონაკში (გფრ) გაიმართა, „მფრინავი მოთხილამურეებისა" კი — სანკტ-მორიცის (შვეიცარია) ტრამპლინზე.

ორჭიდში საპოროს ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი რ. მიეტინენი (ფინეთი) აქ გამართულ „შვარცვალდის თასის" გათამაშებაში უძლიერესი აღმოჩნდა — 428,135 ქულა. II ადგილი დაიკავა ასევე ფინელმა ორჭიდელმა ე. კილპინენმა — 405.315, III — გრენობლის ოლიმპიადის ჩემპიონმა ფ. კელერმა (გფრ) — 399,605. სსრ კავშირის სპორტსმენთაგან საუკეთესოს, 19 წლის ა. ბარანოვს VIII ადგილი ხვდა — 383,140.

იაპონელ „მფრინავ მოთხილამურეთა" დიდი უპირატესობით ჩატარდა შეჯიბრება სანკტ-მორიცში. ასპარეზობაში, რომელშიც 10 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, მათ მოწინავე ექვსეულში ხუთი პირველი ადგილი დაიკავეს. გაიმარჯვა ნ. ხიტაგაკამ — 232,4 ქულა (ნახტომები — 87,5 და 84 მ), II ადგილი დაიკავა ს. სავადამ — 224,9 (96 და 83 მ), III — ტ. იტომ — 223,3 (88 და 82 მ). ევროპელთაგან საუკეთესო იყო ე.-ფ. რიუნინგენი (შვეიცარია) — 212,7 ქულა, VI ადგილი.

„მფრინავ მოთხილამურეთა" მორიგი შეხვედრა საპოროში გაიმართა. უფროსებში ყველას აჯობა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ი. კასაიამ (იაპონია) — 251,4 ქულა (ნახტომები — 115 და 101 მ). იუნიორებში გაიმარჯვა კ. აკიმოტომ (იაპონია) — 165 ქულა (90 და 84 მ). II ადგილზეა ნ. კამჩეევი (სსრ კავშირი) — 157,4 (82,5 და 81 მ). სამაგიეროდ, ავსტრია — იუგოსლავია სამი ტრამპლინის ტურნირი ტომსკელმა მ. კლიმენკომ მოიგო — 646,5 ქულა.

სსრ კავშირის მოთხილამურეებმა კლინგენტალში (გდრ) მასპინძლებთან, ნორვეგიელებთან და ჩეხოსლოვაკიელებთან ჭიდილში მარცხი იწვნიეს ქალთა ესტაფეტაში 4×5 კილომეტრზე. მეოთხე ეტაპზე, როცა ფინიშამდე 2,5 კმ რჩებოდა, ნელისტრატოვა (სსრ კავშირი) წინ იყო, მაგრამ სწორედ დარჩენილ მანძილზე მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა: ნორვეგიელმა მ. ფოსენმა შეძლო ლიდერს დასწეოდა და საბოლოოდ 19,7 წამითაც მოეგო. ნორვეგიელების შედეგია 1:13.32,8. III ადგილზე გავიდნენ მასპინძლები — 1:13.53,1.

აღსანიშნავია, რომ ნორვეგიელებს სსრ კავშირის კვარტეტისთვის ექვსი წელია არ მოუგია. თუმცა სსრ კავშირის გუნდი უძლიერესი სპორტსმენებით როდი იყო დაკომპლექტებული.



ბალერინა (მხატვრულ ტანვარჯიშში 1973 წლის მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი ნ. კრაშენინიკოვა ასპარეზობისას).

ვ. ბერდიგანის (ალმა-ათა) ფოტო. „პრავდა".

# საქართველოს 10 საუკეთესო

### 1973 წლის შედეგების მიხედვით

## ქალები

მ—1 ვარჯიში. 30 მ. ქ. ლოსაბერიძე (ქუთაისი, „ბურევესტნიკი") — 333, მ. გოდერძიშვილი (თბილისი, „ლოკომოტივი") — 328, გ. რიჟამაძე (ქუთაისი, „ბურევესტნიკი") — 324, ც. სუმბაძე (თბილისი, „ლოკომოტივი") — 315, თ. დოლიძე (ბათუმი, „სპარტაკი") — 315, ს. სინცოვა (თბილისი, „სპარტაკი") — 310, ლ. რაზმაძე (თბილისი, „ბურევესტნიკი") — 304, ლ. სორდია-ასატუროვა (თბილისი, „ბურევესტნიკი") — 303, ნ. ტაშჩიანი (ბათუმი, „კოლმეურნე") — 302, ლ. ჯანიაშვილი (თბილისი, „დინამო") — 301.

50 მ. ქ. ლოსაბერიძე — 307, გ. რიჟამაძე — 289, მ. გოდერძიშვილი — 281, ც. სუმბაძე — 271, თ. დოლიძე — 265, ნ. ტაშჩიანი — 263, ს. სინცოვა — 262, მ. ბუხაიძე (ქუთაისი, „ბურევესტნიკი") — 257, ე. გოლუბოვა (თბილისი, „ბურევესტნიკი") — 250, ლ. ჯანიაშვილი — 239.

60 მ. ქ. ლოსაბერიძე — 315, გ. რიჟამაძე — 297, მ. გოდერძიშვილი — 294, ლ. სორდია-ასატუროვა — 291, ც. სუმბაძე — 285, თ. დოლიძე — 283, ლ. რაზმაძე — 280, ს. სინცოვა — 280, მ. გევორქიანი (თბილისი, „ლოკომოტივი") — 250, ე. გოლუბოვა — 249.

70 მ. ქ. ლოსაბერიძე — 307, მ. გოდერძიშვილი — 282, ლ. სორდია-ასატუროვა — 275, თ. დოლიძე — 273, ს. სინცოვა — 263, ც. სუმბაძე — 261, გ. რიჟამაძე — 261, მ. ბუხაიძე — 260, ნ. ტაშჩიანი — 256, ლ. ჯანიაშვილი — 255.

ოთხი დისტანციის ჯამი. ქ. ლოსაბერიძე — 1242, გ. რიჟამაძე — 1167, მ. გოდერძიშვილი — 1138, ლ. სორდია-ასატუროვა — 1138, თ. დოლიძე — 1136, ც. სუმბაძე — 1113, ს. სინცოვა — 1094, მ. ბუხაიძე — 1051, ლ. რაზმაძე — 1042, ე. გოლუბოვა — 1040.

მ—2 ვარჯიში. 30 მ. ქ. ლოსაბერიძე — 667, მ. გოდერძიშვილი — 650, გ. რიჟამაძე — 644, თ. დოლიძე — 626, ს. სინცოვა — 611, ც. სუმბაძე — 611, ლ. სორდია-ასატუროვა — 591, ნ. ტაშჩიანი — 586, მ. ბუხაიძე — 579, მ. ხანთაძე (ქუთაისი, „ბურევესტნიკი") — 546.

50 მ. ქ. ლოსაბერიძე — 598, მ. გოდერძიშვილი — 555, გ. რიჟამაძე — 542, ს. სინცოვა — 522, ლ. სორდია-ასატუროვა — 519, თ. დოლიძე — 510, ც. სუმბაძე — 500, ნ. ტაშჩიანი — 493, მ. ბუხაიძე — 488, ლ. ჯანიაშვილი — 449.

60 მ. ქ. ლოსაბერიძე — 618, გ. რიჟამაძე — 572, ლ. სორდია-ასატუროვა — 565, ც. სუმბაძე — 559, თ. დოლიძე — 553, ს. სინცოვა — 552, მ. გოდერძიშვილი — 544, მ. გევორქიანი — 471, ნ. კულინიჩი (ბათუმი, „კოლმეურნე") — 468, მ. ბუხაიძე — 465.

70 მ. ქ. ლოსაბერიძე — 598, გ. რიჟამაძე — 517, ლ. სორდია-ასატუროვა — 516, მ. გოდერძიშვილი — 512, თ. დოლიძე — 504, ც. სუმბაძე — 486, ლ. ჯანიაშვილი — 480, ს. სინცოვა — 475, მ. ბუხაიძე — 465, ნ. ტაშჩიანი — 449.

ოთხი დისტანციის ჯამი. ქ. ლოსაბერიძე — 2465, გ. რიჟამაძე — 2274, მ. გოდერძიშვილი — 2261, თ. დოლიძე — 2193, ლ. სორდია-ასატუროვა — 2190, ც. სუმბაძე — 2156, ს. სინცოვა — 2147, მ. ბუხაიძე — 1986, ნ. ტაშჩიანი — 1934, ლ. ჯანიაშვილი — 1919.

## ვაჟები

მ—1 ვარჯიში. 30 მ. გ. არჩვაძე (თბილისი, „ბურევესტნიკი") — 340, ვ. ტროპინი (თბილისი, „სპარტაკი") — 331, დ. ბაქრაძე (ქუთაისი, „ბურევესტნიკი") — 329, გ. გორდეზიანი (თბილისი, „ბურევესტნიკი") — 328, ს. თათრიაშვილი (თბილისი, „ლოკომოტივი") — 325, ა. მეჟევიძე (თბილისი, „დინამო") — 323, ნ. ჩაჩანიძე (თბილისი, „ბურევესტნიკი") — 323, ა. შოუა (ბათუმი, „კოლმეურნე") — 320, ვ. ნაცვლიშვილი (თბილისი, „ბურევესტნიკი") — 318, ვ. სოხაძე (ქუთაისი, „ბურევესტნიკი") — 314.

50 მ. გ. გორდეზიანი — 302, ვ. ტროპინი — 293, გ. არჩვაძე — 292, დ. ბაქრაძე — 287, ვ. სოხაძე — 285, ა. მეჟევიძე — 282, ე. არველაძე (ქუთაისი, „ბურევესტნიკი") — 282, ნ. ჩაჩანიძე — 270, ბ. ქორიძე (ქუთაისი, „ბურევესტნიკი") — 269, ნ. მალეცი (თბილისი, „განთიადი") — 269.

70 მ. გ. არჩვაძე — 291, ვ. ტროპინი — 290, ს. თათრიაშვილი — 282, ნ. ჩაჩანიძე — 278, ვ. სოხაძე — 274, ა. მეჟევიძე — 273, ბ. ქორიძე — 272, ე. არველაძე — 263, ნ. მალეცი — 263, ვ. ნაცვლიშვილი — 262.

90 მ. გ. არჩვაძე — 265, ნ. ჩაჩანიძე — 250, ვ. ტროპინი — 238, ვ. სოხაძე — 235, ვ. ნაცვლიშვილი — 231, დ. ფილიშვილი (თბილისი, „ბურევესტნიკი") — 227, ა. მეჟევიძე — 226, გ. გორდეზიანი — 212, ბ. ქორიძე — 212, ს. თათრიაშვილი — 205.

ოთხი დისტანციის ჯამი. გ. არჩვაძე — 1177, ვ. ტროპინი — 1136, ნ. ჩაჩანიძე — 1113, ვ. სოხაძე — 1105, ა. მეჟევიძე — 1098, ს. თათრიაშვილი — 1068, ვ. ნაცვლიშვილი — 1050, გ. გორდეზიანი — 1046, ბ. ქორიძე — 1043, დ. ბაქრაძე — 1032.

## მშვილდოსნობა

მ—2 ვარჯიში. 30 მ. გ. არჩვაძე — 671, ვ. ტროპინი — 655, ნ. ჩაჩანიძე — 640, ა. მეჟევიძე — 639, ვ. სოხაძე — 627, გ. გორდეზიანი — 626, ვ. ნაცვლიშვილი — 623, ა. შოუა — 617, ტ. კვანტრიშვილი (ქუთაისი, „ბურევესტნიკი") — 606, ე. არველაძე — 603.

50 მ. გ. არჩვაძე — 580, გ. გორდეზიანი — 569, ვ. ტროპინი — 568, ა. მეჟევიძე — 558, ა. სოხაძე — 546, დ. ბაქრაძე — 544, ნ. ჩაჩანიძე — 523, ბ. ქორიძე — 522, ვ. ნაცვლიშვილი — 514, ტ. კვანტრიშვილი — 470.

70 მ. გ. არჩვაძე — 575, ვ. ტროპინი — 566, ნ. ჩაჩანიძე — 544, ბ. ქორიძე — 536, ვ. სოხაძე — 533, ა. მეჟევიძე — 510, ვ. ნაცვლიშვილი — 504, გ. გორდეზიანი — 492, ტ. კვანტრიშვილი — 490, დ. ბაქრაძე — 481.

90 მ. გ. არჩვაძე — 502, ვ. ტროპინი — 478, ნ. ჩაჩანიძე — 472, ვ. სოხაძე — 467, ვ. ნაცვლიშვილი — 462, ა. მეჟევიძე — 441, გ. გორდეზიანი — 413, ბ. ქორიძე — 385, ტ. კვანტრიშვილი — 363, ე. არველაძე — 360.

ოთხი დისტანციის ჯამი. გ. არჩვაძე — 2328, ვ. ტროპინი — 2217, ნ. ჩაჩანიძე — 2198, ვ. სოხაძე — 2179, ა. მეჟევიძე — 2148, გ. გორდეზიანი — 2090, ვ. ნაცვლიშვილი — 2074, ბ. ქორიძე — 2045, ტ. კვანტრიშვილი — 1929, დ. ბაქრაძე — 1918.

## რეკორდები

ლოს-ანჯელესი. მძლეოსანთა საერთაშორისო ასპარეზობაში 15 წლის კალიფორნიელმა მოსწავლე გოგონამ მ. დეკერმა დაამყარა ახალი მსოფლიო მიღწევა 1000 იარდზე რბენაში დარბაზებისთვის. მისი შედეგია 2.26,7.

# პრეტენდენტთა მატჩები

### სპასკი — ბირნი 2:0

სან-ხუანი. გუშინწინ მეტოქენი კვლავ მიუსხდნენ დაფას მატჩის IV პარტიის სათამაშოდ. ამჯერად თეთრებით სპასკი თამაშობდა. ბრძოლა ხანმოკლე და მძაფრი აღმოჩნდა. უკვე 29-ე სვლაზე ამერიკელმა ბირნმა თავი დამარცხებულად სცნო.

ახლა ანგარიშია 2:0 საბჭოთა დიდოსტატის სასარგებლოდ. სპასკის საერთო გამარჯვებისთვის ერთი პარტიის მოგებაც ჰყოფნის.

### კარპოვი — პოლუგაევსკი

მოსკოვი. ლიტერატორთა სახლში გაიმართა კარპოვ—პოლუგაევსკის მატჩის III პარტია. ეს შეხვედრაც დაძაბულად წარიმართა და ყაიმით დასრულდა.

სხვათა შორის, ამ მატჩში I ადგილზე გასული მოჭადრაკე ნახევარფინალში უნდა შეხვდეს სპასკი—ბირნის ორთაბრძოლაში გამარჯვებულ დიდოსტატს.

### მეკინგი — კორჩნოი

ოგასტა. დამთავრდა გადადებული III პარტია. შეწყვეტილ პოზიციაში კორჩნოის პოზიციური უპირატესობა ჰქონდა, მეკინგს კი — ზედმეტი პაიკი. ანალიზში მეტოქეებს სეკუნდანტები ეხმარებოდნენ: მეკინგს — შვედი დიდოსტატი უ. ანდერსონი, კორჩნოის — ლენინგრადელი საერთაშორისო ოსტატი ვ. ოსნოსი. განახლებული ბრძოლა ბოლოს ყაიმით დასრულდა. ეს მატჩში ზედიზედ მეოთხე ყაიმია.



შეტევა.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## ახალი წიგნები

# „დედოფალი ტახტიდან არ ჩამოდის"

გულშემატკივრებს ალბათ ახსოვთ 1972 წლის მაის-ივნისის დღეები, როცა რიგაში ნ. გაფრინდაშვილი ა. კუშნირთან შეუპოვარ ბრძოლაში მეოთხედ იცავდა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს. ნონამ მაშინაც აალელვა თავისი ქომაგები, ბოლოს კი ყველა გაახარა დედოფლის ტახტის შენარჩუნებით.

აი, სწორედ ამ მატჩს მიეძღვნა თენგიზ გიორგაძის ახალი წიგნი „დედოფალი ტახტიდან არ ჩამოდის". ავტორი ესწრებოდა ორთაბრძოლას და წიგნიც სავსეა ცოცხალი შთაბეჭდილებებით. წიგნში მოყვანილია მატჩის თექვსმეტივე, საფუძვლიანად კომენტირებული პარტია. ტექსტს ახლავს მატჩის პერიპეტიების ამსახველი ფოტოებიც.




„დედოფალი ტახტიდან არ ჩამოდის" გამოსცა „ნაკადულმა", რომელმაც კარგ ტრადიციად აქცია მსოფლიო პირველობაზე ნ. გაფრინდაშვილის ყოველი მატჩისადმი წიგნის მიძღვნა.

## ახალი ამბები-74

● მარსელი, 21 იანვარი. საფრანგეთის ამ ქალაქში გამართულ დაშნით მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირში თავი ისახელა საბჭოთა სპორტსმენმა, გორკელმა ვ. დენისოვმა. მან გადამწყვეტი ბრძოლა მოუგო მასპინძელთა წარმომადგენელს დ. რევენიუს — 5:3.

● რეიტ-იმ-ვინკელი (გფრ), 21 იანვარი. მოთხილამურეთა საერთაშორისო ასპარეზობაში 5-კილომეტრიანი რბოლა მოიგო სვერდლოვსკელმა ჟ. ელისტრატოვამ — 17.52,8. 15 კილომეტრზე პირველი იყო ფინელი ი. მიეტო — 48.13,8. ფინიშთან მეორე მივიდა ლენინგრადელი ვ. ბელიაევი — 49.01,6.

● კუიბიშევი, 21 იანვარი. იპოდრომზე ავტორბოლაში „ჟიგულის" კლასში სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, მოსკოველმა ტ. კოზლოვმა. „ვოლგებით" შეჯიბრებაში უძლიერესი იყო ვ. იუშინი (მოსკოვი).

● კორტინა დ'ამპეცო, 21 იანვარი. იტალიის ამ პატარა ქალაქის ტრამპლინზე ჩატარდა „მფრინავ მოთხილამურეთა" ასპარეზობა. გაიმარჯვა შვეიცარიელმა ჰ. შმიდმა — 241,8 (ნახტომების სიგრძე — 84,5 და 84,0). საბჭოთა სპორტსმენი, სვერდლოვსკელი ვ. პიროჟკოვი მესამე იყო — 214,2 (73,5 და 81,5).

● ბერლინი, 21 იანვარი. „მეგობრობის ტურნეს" უამინდობის გამო ნაადრევი ფინიში ჰქონდა. გაიმარჯვა მსოფლიო ჩემპიონმა ჰ.-გ. აშენბახმა (გდრ) — 461,7. საბჭოთა სპორტსმენებიდან ყველაზე კარგი შედეგი ჰქონდა გორკელ გ. ნაპალკოვს — 413,6 (VI ადგილი).

● მოსკოვი, 21 იანვარი. მოსკოვის „დინამოს" ფრენბურთელ ქალთა გუნდმა დღეს აქ მოიგო განმეორებითი მეოთხედფინალური შეხვედრა ლისაბონის „ბენფიკასთან" (პორტუგალია) ანგარიშით 3:0 (15:0, 15:2, 15:3). მოსკოვის „დინამო" ნახევარფინალში გავიდა.

PRZEGLAD SPORTOWY · Sport · SPORTSKE NOVOSTI · Népsport · sportowiec · Советский спорт

### ეს ხომ არგენტინული კლუბია!

„ვალენსიას" დიდი წარმატებები აქვს ესპანეთში. მაგრამ კლუბი თითქმის მთლიანად არგენტინელებითაა დაკომპლექტებული, რომლებმაც ესპანეთის მოქალაქეობა მიიღეს და ამდენად გუნდს ხელს არ უშლიან კიდევ იყიდოს უცხოელები.

კლუბს წვრთნის წარსულში გამოჩენილი არგენტინელი ფეხბურთელი ა. დი სტეფანო, ფიზიკურ მომზადებას ხელმძღვანელობს ასევე არგენტინელი სეოანე, მწვრთნელის თანაშემწეა კიდევ ერთი არგენტინელი — სანჩესი.

### მეკარე IV ლიგიდან

არგენტინის ერთ-ერთმა უძლიერესმა გუნდმა „სან-ლორენცომ" დიდ ფასად იყიდა IV ლიგის კლუბ „პლატენზეს" მეკარე ხოსე კაფარი. აქ გასაოცარი არაფერია, ვინაიდან 1973 წლის განმავლობაში კაფარმა აილო 33 (!) თერთმეტმეტრიანი დარტყმა, რითაც არაოფიციალური მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

„ასეთი მეკარით ჩვენს ზედს ძალი აღარ დაჰყეფს" — აცხადებენ „სან-ლორენცოს" ხელმძღვანელები.

### ჯაიჩი არმიაში გაიწვიეს

„ცრვენა ზვეზდა" აშკარად დაზარალდა თავის ცნობილ თავდამსხმელ დ. ჯაიჩთან დაკავშირებით. საქმე ისაა, რომ ჯაიჩი აქამდე ავად იყო და თვეებს კი არა, ზოგჯერ მთელ სეზონსაც აცდენდა ხოლმე. ახლა იგი გამოჯანმრთელდა, მაგრამ არმიაში გაიწვიეს, სადაც 18 თვე უნდა დაჰყოს. ეს, თქმა არ უნდა, ფრიად მნიშვნელოვანი დანაკლისია.

არმიაში ყველა იუგოსლაველი ფეხბურთელი მიჰყავთ. ერთადერთი მოთამაშე, რომელმაც თავიდან აიცდინა სამხედრო სამსახური, პრაღის ჟურნალ „გოლის" მოწმობით, შეკულარაცი იყო, მაგრამ მას საერთოდ მოუხდა იუგოსლავიის დატოვება და კოლუმბიაში გადაბარგება.

### პირველ ადგილზეა ბონევი

გამოჩენილმა ბულგარელმა ნახევარმცველმა ბონევმა ეროვნული ნაკრების მატჩებში 26 ბურთი გაიტანა. ეს არც ისე დიდი ციფრია, თუმცა ნახევარმცველისთვის უდავო მიღწევად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ ამ მონაცემმა ბონევი ბულგარეთის ნაკრების ყველაზე უფრო შედეგიან ფეხბურთელად აქცია. ამასთან იგი ახალგაზრდაა, ჯანღონით სავსე და, ცხადია, კიდევ უფრო გააუმჯობესებს თავის შედეგებს.

25-25 ბურთი გაიტანეს ანგელოვმა, კოლევმა და ჟეკოვმა, რომლებიც ნაკრებს კარგა ხანია გამოეთხოვნენ.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### გადაასწრებს თუ არა?

გფრ-ის მიმომხილველები, ცოტა არ იყოს, გაოცებული არიან ბეკენბაუერის თავისებური „პოლიტიკით", რომელიც ამ ბოლო ხანებში ერიდება „ზედმეტი ნაბიჯის" გადადგმას მინდორზე. — 40 წლამდე ვაპირებ თამაშს — ასე უყვარს პასუხის გაცემა თვით ფეხბურთელს, ბეკენბაუერს გფრ-ის ნაკრებში ჩატარებული აქვს 73 მატჩი და საგრძნობლად უსწრებს ყველა ძველ თუ მოქმედ მოთამაშეს თავის ქვეყანაში. მაგრამ ბეკენბაუერს, თურმე ნუ იტყვით, სხვა მიზანიც ჰქონია. იგი აპირებს მოხსნას ინგლისელი ბ. მურის მსოფლიო რეკორდი (108 მატჩი ეროვნულ ნაკრებში). შეძლებს თუ არა ბეკენბაუერი გადაასწროს მურს? ინგლისელი ფეხბურთელი, როგორც ეტყობა, ველარ გააუმჯობესებს თავის შედეგს, ბეკენბაუერი კი, თუ გაუთვალისწინებელი რამე არ მოხდა, კიდევ რამდენიმე წელს ითამაშებს ნაკრებში.

მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ ბეკენბაუერს სერიოზული შანსები აქვს გადაასწროს მურს.

# პოლუსისკენ — აფრიანი ნავით

საფრანგეთის ქალაქ ტულონის რამდენიმე მცხოვრებმა, სამთოსათხილამურო სპორტის რამდენიმე მოყვარულმა, გადაწყვიტა ჩრდილოეთ პოლუსამდე მისვლა ყინულოვანი გზით. ენთუზიასტებმა უნდა იარონ მათ მიერ შექმნილი აპარატებით, რომელთაც თვითონ ყინულის აფრიანი ნავები უწოდეს, ჩვენ კი ბუერებს ვეძახით. ფრანგების ბუერს შეუძლია 200 კგ ტვირთით ძლიერ ქარში საათში 80 კმ სიჩქარე განავითაროს. შარშან ექსპედიციამ უკვე გამოსცადა ოთხი ბუერი და დანარჩენი ალჭურვილობა — კანადაში, გუძონის ყურეში.

წლეულს, თებერვალ-მარტში, კანადის ნაპირებიდან კიდევ ერთი რეპეტიცია მოეწყობა. მომავალი ლაშქრობის მონაწილეებს განზრახული აქვთ ბუერებით 1600 კილომეტრი გაიარონ. თუ ეს რეპეტიცია ისევე იღბლიანი აღმოჩნდა, როგორც პირველი, 1975 წლის გაზაფხულზე ტულონელი თავგადასავალთა მაძიებელნი კანადიდან დაადგებიან გზას თავიანთი მიზნის შესასრულებლად.

„იზვესტია", 20 იანვარი.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.




გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი. ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო"

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52. მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება—99-81-71 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება—93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია—93-97-58 გამომშვები—93-93-61. კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02435